თანხმობა

მე, ვახტანგ ახალკაციშვილი (პ/ნ: 01004002591), როგორც მიწის ნაკვეთის, მდებარე ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ს/კ: 72.16.33.083, 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 400 კვ.მ. ფართის მესაკუთრე (საკუთრება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში აზომვითი ნახაზის შესაბამისად, ნაკვეთი #1 (43ა)) თანახმა ვარ, ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე, ამავე მიწის ნაკვეთის მეორე ნაწილის 400 კვ.მ. ფართის (ნაკვეთი #2 (43)) მესაკუთრემ, ან/და წარმომადგენელმა/მინდობილმა პირმა, ან/და უფლებამონაცვლემ, ან/და შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა,

მის საკუთრებაში არსებული წილი/ფართი ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირზე გაასხვისოს, გაყიდოს, გააჩუქოს, გაცვალოს, ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის სასარგებლოდ სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთოს იპოთეკით, ან/და ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ სხვა ნებისმიერი ვალდებულებით, ან/და განახორციელოს ცვლილება, ან/და მოხსნას/გააუქმოს ისინი.

მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, შეათანხმოს პროექტი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურთან და აიღოს მშენებლობის ნებართვა ამ ტერიტორიაზე დამტკიცებული გრგ-ის ფარგლებში, ისე, რომ მის საკუთრებაში არსებულ ფართზე (400 კვ.მ.-ზე, ნაკვეთი #2) კ1 კოეფიციენტის ფარგლებში აითვისოს არაუმეტეს 216 კვ.მ., ხოლო კ2 კოეფიციენტის ფარგლებში, არაუმეტეს 336 კვ.მ. და დააკმაყოფილოს კ3 კოეფიციენტი არანაკლებ - 176 კვ.მ. და დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოჯნები ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (400 კვ.მ., ნაკვეთი #1) წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრიდან. აღნიშნულისთვის განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება შესაბამის სახელმწიფო (მათ შორის: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, საქალაქო სამსახურები, როგორიცაა, მაგ.: ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური და ა.შ., ქ. თბილისის საკრებულო და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო, საჯარო რეესტრის სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და ა.შ.) და კერძო სტრუქტურებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

განახორციელოს ყველანაირი სხვა ქმედება, რაც საჭიროა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვისთვის.

წინამდებარე თანხმობა გაცემულია უვადოდ, ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან, სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულებაში (მათ შორის იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის თვითმმართველ ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, შსს-ში, საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ბანკში და ა.შ.) წარსადგენად.

ხელმოწერა

ვახტანგ ახალკაციშვილი (პ/ნ: 01004002591)

/ 24.12.2021 /

Scanned with CamScanner

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211432840
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.12.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო უბერი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 (ნაკვ. 35/4), მეორე სართული, ოთახი №214,
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995) 599 77 28 77
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06139544790421

მე, საქართველოს ნოტარიუსი ნინო უბერი, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 (ნაკვ. 35/4), მეორე სართული, ოთახი №214, ვამოწმებ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირის: ვახტანგ ახალკაციშვილის (დაბადებული:22.11.1979წ. პირადი №01004002591. რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის III კვარტალი, კორპუსი 12, ბინა 46) ხელის მოწერის ნამდვილობას მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე: თანხმობა. ხელმოწერა დოკუმენტზე შესრულებულია ხელმომწერის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით, მას შემდეგ რაც მას განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის შინაარსისა და მასში წარმოდგენილი ფაქტების დადასტურებას.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, სამი ეგზემპლარისთვის გადახდილია სანოტარო საზღაური 6.00 (სამი) ლარი, დღგ: 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი, და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი _ ჯამში: 9.08 (ცხრა ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო უბერი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

Scanned with CamScanner